

გემზანის რიგითი მეზღვაური – 111051
პროფესიული სტანდარტი

I. სფეროს აღწერა

საზღვაო ტრანსპორტი წარმოადგენს ტვირთის გადაზიდვის ყველაზე გავრცელებულ და იაფ საშუალებას. ამ მიზეზით საზღვაო გადაზიდვების ხვედრითი წილი მსოფლიო სატრანსპორტო სისტემაში წლიდან წლამდე იზრდება, რაც განაპირობებს მაღალკვალიფიცირებულ კადრებზე მზარდ მოთხოვნილებას დასაქმების საერთაშორისო ბაზარზე. საზღვაო ტრანსპორტისა და მასთან დაკავშირებული ყველა სამსახურის საქმიანობა ნაციონალურ კანონმდებლობასთან ერთად რეგულირდება საერთაშორისო ნორმებით. საზღვაო ტრანსპორტის დარგში საერთაშორისო მარეგულირებელ ორგანიზაციას წარმოადგენს საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაცია (IMO). საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის დადგენილებების რეგულირებასა და კონტროლს ჩვენს ქვეყანაში ახორციელებს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, ერთიანი სატრანსპორტო ადმინისტრაციის, საზღვაო ტრანსპორტის დეპარტამენტი. IMO-ს მოთხოვნები საზღვაო კადრების კვალიფიკაციასთან დაკავშირებით გაწერილია საერთაშორისო საზღვაო კონვენციაში „მეზღვაურთა მომზადების, დიპლომირებისა და ვახტის გაწევის სტანდარტების შესახებ“ (STCW), 2012 წლიდან ძალაში შევა კონვენციის ახალი რედაქცია მანილას შესწორებებით – STCW Manila Amendments. საქართველო 1993 წელს შეუერთდა კონვენციას, რითაც აიღო ვალდებულება მეზღვაურთა მომზადების პროცესის სრულ თავსებადობაზე კონვენციის მოთხოვნებთან (საერთაშორისო სტანდარტებთან).

კონვენციის ხელმოწერი ყველა ქვეყანა, მათ შორის საქართველო, ვალდებულია მეზღვაურთა მომზადების პროცესი მოიყვანოს სრულ თავსებადობაში STCW-ს მოთხოვნებთან, წინააღმდეგ შემთხვევაში საზღვაო ტრანსპორტის დეპარტამენტის მიერ გაცემული მეზღვაურთა საკვალიფიკაციო სერტიფიკატები (ე.წ. „საზღვაო დიპლომები“) არ იქნება აღიარებული საერთაშორისო დონეზე.

გემზანის მეზღვაურის კვალიფიკაციის აღწერის წინამდებარე სტანდარტი ეფუძნება პროფესიულ კვალიფიკაციათა ჩარჩოს, საქართველოს კანონის „მეზღვაურთა მომზადებისა და დიპლომირების შესახებ“ და საერთაშორისო კონვენციის – STCW-ს მოთხოვნებს.

II. დასაქმების სფერო

გემზანის მეზღვაური შეიძლება დასაქმდეს:

- საზღვაო სავაჭრო გემებზე;
- სამგზავრო გემებზე;
- ნავსადგურის სასამსახურო-დამხმარე ფლოტის გემებზე;
- თევზსაჭერი ფლოტის გემებზე და სხვა.

წინამდებარე სტანდარტის საფუძველზე მომზადებულ გემზანის მეზღვაურს, მომზადების საფეხურისა და გემზე მუშაობის აღიარებული სტაჟის საფუძველზე შეუძლია დაიკავოს გემის დამხმარე დონის პასუხისმგებელობის მეზღვაურის თანამდებობები, „მეზღვაურთა მომზადებისა და დიპლომირების შესახებ“ კანონის შესაბამისად.

გარდა ამისა დასაქმების შესაძლო სფეროებს წარმოადგენს საზღვაო ტრანსპორტის მომსახურებისა და ექსპლუატაციის სფეროსთან დაკავშირებული სახელმწიფო ან კერძო დაწესებულებები.

III. საგანმანათლებლო პროგრამა და კვალიფიკაცია

გემზე დასაქმებულ ეკიპაჟს მუშაობა უხდება არაერთგვაროვან და სხვადასხვა ხასიათის საფრთხეებთან დაკავშირებულ, ექსტრემალურ პირობებში, რის გამოც ეკიპაჟის ყოველი წევრი მუდმივ მზადყოფნაში უნდა იყოს საჭიროების შემთხვევაში დამოუკიდებლად გაატაროს ღონისძიებები გემის სიცოცხლისუნარიანობის შენერჩუნებისათვის და შეასრულოს სამაშველო ოპერაციები ზღვაზე, ამიტომ მეზღვაურის პასუხისმგებლობის დონე არ შემოიფარგლება მხოლოდ კონკრეტულ ტექნოლოგიურ პროცესთან დაკავშირებული ფუნქციონალური მოვალეობის შესრულებით. გამომდინარე აქედან, მეზღვაურის პროფესიული განათლება არ განიხილავს საფეხურს პასუხისმგებლობის დაბალი ხარისხით. გემბანის მეზღვაურის პროფესიული განათლება იწყება III საფეხურიდან, რომელიც შეესაბამება გემბანის დამხმარე დონის რიგითი მეზღვაურის კვალიფიკაციას, ხოლო IV საფეხური შეესაბამება გემბანის დამხმარე დონის პირველი კლასის მეზღვაურის კვალიფიკაციას. ყოველი საფეხურის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს ენიჭება შესაბამისი საფეხურის კვალიფიკაცია და გაიცემა პროფესიული დიპლომი.

გემბანის მეზღვაურის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს მინიმუმ 60 კრედიტს, საიდანაც მინიმუმ 40% ეთმობა საწარმოო და საცურაო პრაქტიკას. კურსდამთავრებულს ენიჭება გემბანის რიგითი მეზღვაურის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია და გაიცემა პროფესიული დიპლომი.

გემბანის მეზღვაურის მეოთხე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს მინიმუმ 60 კრედიტს, საიდანაც მინიმუმ 40% ეთმობა საწარმოო და საცურაო პრაქტიკას. კურსდამთავრებულს ენიჭება გემბანის რიგითი მეზღვაურის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია და გაიცემა პროფესიული დიპლომი.

IV. დამატებითი მოთხოვნები

საზღვაო სავაჭრო გემებზე დასაქმებით დაინტერესებულმა ყველა პირმა უნდა გაითვალისწინოს, რომ:

1. გემზე მუშაობის უფლების მიმნიჭებელ ორგანოს წარმოადგენს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, ერთიანი სატრანსპორტო ადმინისტრაციის, საზღვაო ტრანსპორტის დეპარტამენტი, რომელიც სასწავლებლის მიერ კურსდამთავრებულზე გაცემული პროფესიული დიპლომისა და გემზე მუშაობის აღიარებული სტაჟის საფუძველზე გასცემს შესაბამის „საზღვაო დიპლომს“, „მეზღვაურთა მომზადებისა და დიპლომირების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. გამომდინარე აქედან, საზღვაო ტრანსპორტის დეპარტამენტი უფლებამოსილია დაადგინოს პროფესიულ სტუდენტთა სასწავლო დაწესებულებაში ჩარიცხვისა და კვალიფიკაციის მინიჭების დამატებითი პირობები;
2. IV საფეხურის პროფესიულ პროგრამაზე სტუდენტთა ჩარიცხვა განხორციელდება მხოლოდ სრული ზოგადი განათლებისა და მესამე საფეხურის კვალიფიკაციის ქონის საფუძველზე, რაც განპირობებულია გემბანის პირველი კლასის მეზღვაურის ასაკზე STCW კონვენციის II თავის, II/5 მუხლით დადგენილი მოთხოვნებით;
3. III საფეხურის პროფესიულ პროგრამაზე სტუდენტთა ჩარიცხვა შესაძლებელია განხორციელდეს ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის დამლევის საფუძველზე, მაგრამ ამ შემთხვევაში სტუდენტებს უნდა ეცნობოთ, რომ სწავლის გაგრძელებას უფრო მაღალ საფეხურზე, ან უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე შესაძლებელია მხოლოდ სრული ზოგადი განათლების დასრულების შემდგომ;

4. საზღვაო ფლოტის გემებზე მუშაობის უფლების მოსაპოვებლად უნდა გაიაროს სპეციალური სამედიცინო შემოწმება (ფორმა № IV-100/ა) სამედიცინო ცენტრებში, რომელთაც აქვთ საზღვაო ტრანსპორტის დეპარტამენტის სათანადო აღიარება. სამედიცინო შემოწმების აუცილებლობა გამოწვეულია საზღვაო ფლოტის გემებზე მუშაობის სპეციფიკურობით და გათვალისწინებულია, როგორც საქართველოს კანონმდებლობით ასევე საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის ნორმატიული დოკუმენტებით:

- საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 11 ივლისის ბრძანება N 215/ნ;
- International Convention on Standards of Training, Certification and Watchkeeping for Seafarers, 1978, as amended in 1995 (Consolidated Text) Regulation I/9; section B-I/9; Table B-I/9-1.

V. გემბანის მეზღვაურის კვალიფიკაციის აღწერი

გემბანის მეზღვაურის მესამე საფეხურის კვალიფიკაციის აღწერი

<p>ცოდნა და გაცნობიერება</p>	<p>აქვს სფეროსათვის დამახასიათებელი ძირითადი ფაქტების, პრინციპების, პროცესებისა და ზოგადი კონცეფციების ცოდნა, აცნობიერებს გართულებული ამოცანების შესასრულებლად აუცილებელ ნაბიჯებს;</p>	<p>იცის:</p> <ul style="list-style-type: none"> • ზოგადი ცნებები გემის აგებულებისა და გემის სანაოსნო თვისებების შესახებ; • რანჰოუტისა და ტაკელაჟის მოწყობილობები; • გემის საჭის, სატვირთო, ღუზის, მისაბმელი და ბუქსების მოწყობილობების დანიშნულება, აგებულება, გამოყენება და ტექნიკური მომსახურება; • გარე კორპუსის ნაწილის მომზადება ნაოსნობისათვის; • გემის საღებავების ძირითადი ტიპები და მათი გამოყენების წესები; • გემბანის ტექნიკური საშუალებების დანიშნულება, აგებულება, გამოყენება და ტექნიკური მომსახურება; • ამწე-სატვირთო მექანიზმების ექსპლუატაციის წესები; • ნავიგაციის ძირითადი ტერმინები, ცნებები და განმარტებები; • საჭის მართვის ბრძანებები და მათი დანიშნულებები, მათ შორის ინგლისურ ენაზე; • მოვალეობები დაკავშირებული დაკვირვების წარმოებასთან, მათ შორის ხმოვან სიგნალზე, შუქნიშანზე ან სხვა ობიექტზე წარმოებულ მიმართულებაზე გრადუსებში და მეოთხედებში;
-------------------------------------	--	---

		<ul style="list-style-type: none"> • სანავიგაციო ვახტის გაწევის წესები; • უსაფრთხოების ტექნიკის მოთხოვნები გემბანზე სამუშაოდ; • თავისი მოვალეობები გემის სიცოცხლისუნარიანობის უზრუნველსაყოფად (ავარიული სიტუაციის, ხანძრის შემთხვევებში). ავარიული სიგნალიზაციის სისტემები; • ტვირთის მიღების, ჩაბარების, განათავსების და დამაგრების წესები; • განგაშის ტიპების ჩამონათვალი; • განგაშის სიგნალები. განრიგი განგაშის პირობებში; • მარკირების სახეები გემბანზე; • ზღვის გარემოს დაბინძურების პრევენციული ღონისძიებების ძირითადი მოთხოვნები; • უსაფრთხო ვახტის გაწევის ნორმები.
<p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</p>	<p>შეუძლია გამოიყენოს სფეროს სპეციფიკისათვის დამახასიათებელი უნარების ფართო სპექტრი, შეაფასოს დავალდებულების შესასრულებლად სხვადასხვა მიდგომა, შეარჩიოს და მიუსადაგოს სათანადო მეთოდები, ინსტრუმენტები და მასალები.</p>	<p>შეუძლია:</p> <ul style="list-style-type: none"> • გემის სამუშაოების შესრულება, მათ შორის: სადურგლო, სამღებრო, სატაკელაჟო სამუშაოები. კორპუსისა და ლითონის ნაკეთობათა გამწმენდი სამუშაოები; • სანავიგაციო და სადგომი ვახტის წარმოება, ვიზუალური და სმენითი დაკვირვების გაწევა ვახტაზე; • გემის ვახტის გაწევის წესების დაცვა; • საჭის მოწყობილობისა და კურსის მაჩვენებელის კონტროლი. გიროკომპასისა და მაგნიტური კომპასის გამოყენება საჭის მართვის დროს. ავტომატურიდან ხელით მართვაზე გადასვლის ბრძანების შემთხვევაში და პირიქით; • განახორციელოს გემის მიზმის ოპერაციები; • განახორციელოს საჭის, სატვირთო და ბუქსირების საშუალებების ტექნიკური ექსპლუატაცია; • განახორციელოს ჩატვირთვა გადმოტვირთვის პროცედურები: მოამზადოს სათავსოები, სატვირთო ტრიუმები და გემბანი ტვირთის განსათავსებლად; • მიიღოს, ჩაიბაროს, განათავსოს და დაამაგროს ტვირთი. გაწმინდოს ტრიუმები და

		<p>გაასუფთავოს გემზანი გადმოტვირთვის ოპერაციის შემდეგ;</p> <ul style="list-style-type: none"> • უზრუნველყოს ნაოსნობის უსაფრთხოება. უზრუნველყოს სატრანსპორტო უსაფრთხოების სათანადო დონე, გამოიყენოს ყველა საშუალება გემის სიცოცხლისუნარიანობის შესანარჩუნებლად, მათ შორის: <ul style="list-style-type: none"> • ისარგებლოს ხანძარსაწინააღმდეგო საშუალებებით; • ჩაუშვას, ამოწიოს და მართოს სამაშველო კანჯო; • ისარგებლოს ინდივიდუალური სამაშველო საშუალებებით და სხვა; • იმოქმედოს განგაშის სიგნალების შესაბამისად, შეძლოს პირველადი სამედიცინო დახმარება გაწევა; • განგაშის სიგნალების გამოყენება გადარჩენისა და ძიების ოპერაციების დროს, მათ შორის: პიროტექნიკური საშუალებები, თანამგზავრული ავარიული რადიო ბუები და ტრანსპონდერები; • განგაშის მცდარი სიგნალების თავიდან აცილება. მოქმედებები მცდარი განგაშის სიგნალის გაშვების შემთხვევაში; • თავისი კომპეტენციების ფარგლებში იმოქმედოს გარემოს დაცვის მოთხოვნებიდან გამომდინარე.
<p>დასკვნის უნარი</p>	<p>შეუძლია განსხვავებულ სიტუაციებში წარმოქმნილი პრობლემების გადასაჭრელად ინფორმაციის ცნობილი წყაროებით სარგებლობა, მათი შეფასება და ანალიზი.</p>	<p>შეუძლია საჭის მოწყობილობის, კურსის მაჩვენებლის კონტროლისა და ვიზუალური დაკვირვების შედეგად გაკეთებული დასკვნის საფუძველზე მოახდინოს პრობლემის იდენტიფიცირება და კაპიტნის სავახტო თანაშემწის ინფორმირება.</p>
<p>კომუნიკაციის უნარი</p>	<p>შეუძლია ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია პროფესიასთან დაკავშირებულ საკითხებზე განსხვავებულ სიტუაციებში, ეფექტიანად იყენებს პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებულ საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს, შეუძლია უცხო ენის პრაქტიკული გამოყენება</p>	<p>აქვს გუნდური მუშაობის უნარი და შეუძლია განახორციელოს ეფექტური სამუშაო ურთიერთობები ვახტის გაწევის დროს. სამეთაურო შემადგენლობის პირის მიერ გაცემულ ბრძანებებზე ასრულებს ადეკვატურ მოქმედებას თავისი კომპეტენციის ფარგლებში;</p> <p>შეუძლია პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებული ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების, გემის შიდა კავშირისა და ავარიული სიგნალიზაციის ეფექტურად გამოყენება;</p> <p>აქვს სტანდარტული ინგლისური ფრაზების ცოდნა ფუნქციონალური მოვალეობების შესრულებისთვის აუცილებელი მოცულობით.</p>

სწავლების უნარი	შეუძლია წინასწარ განსაზღვრული ამოცანების ფარგლებში საკუთარ სწავლაზე პასუხისმგებლობის აღება.	კვალიფიკაციის მაღალი დონის შესანარჩუნებლად აცნობიერებს გადამზადების კურსების აუცილებლობას და შემდგომი პროფესიული ზრდის საჭიროებას.
ღირებულებები	განსხვავებულ სიტუაციებში მოქმედებს პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელი ღირებულებების შესაბამისად.	მეზღვაურის პროფესიული საქმიანობის თავისებურების განმსაზღვრელია პროფესიის მაღალი რისკ-ფაქტორი. გემი მეზღვაურისათვის წარმოადგენს ერთდროულად სამუშაო და საცხოვრებელ გარემოს. გამომდინარე აქედან ერთიანი გუნდის შეგრძნება, თვითდისციპლინა, კომუნიკაბელობა, პუნქტუალობა, პროფესიული და პირადი პასუხისმგებლობა ის ძირითადი ღირებულებებია, რომლებიც განსაზღვრავენ გემის, ეკიპაჟისა და ტვირთის უსაფრთხოებას.

გემზანის მეზღვაურის მეოთხე საფეხურის კვალიფიკაციის აღმწერი

ცოდნა და გაცნობიერება	აქვს სფეროს ფაქტობრივ გარემოებებსა და თეორიულ საფუძვლებზე დამყარებული ცოდნა, აცნობიერებს პრობლემების გადაჭრის ზოგად შესაძლებლობებს.	<p>იცის:</p> <ul style="list-style-type: none"> • საექსპლუატაციო მახასიათებლებთან დაკავშირებულ საკონსტრუქტორო, ტექნოლოგიურ და საცნობარო დოკუმენტაციასთან მუშაობა; • გემის ძირითადი კონსტრუქციული ელემენტები, კორპუსის გეომეტრია და ცურვადობა, კორპუსის სიმტკიცის საფუძვლები; • გემის აგებულების თეორია, მდგრადობა, დახრა, დიფერენტი, წყალშიგი და სხვა საზღვაოსნო თვისებები. გემის სვლადაობა და ამძრავები; • გემის მიზმისა და მოხსნის სისტემები და სამუშაოთა წარმოების პროცედურები; • ნავიგაციის ძირითადი ცნებები და განმარტებები; ნავიგაციური რუკების დანიშნულება, კლასიფიკაცია; • პროცედურები დაკავშირებული ვახტის წარმოებასთან. მათ შორის: ვახტის გაწევის, ჩაბარების, გადაცემის და შეცვლის წესები; • გემზანისა და ხიდურის აღჭურვილობა; • ჩატვირთვა გადმოტვირთვის ოპერაციების ჩატარებისა და ტვირთის განსათავსებლად სათავსოების, სატვირთო ტრიუმებისა და გემზანის მომზადების წესები. მათ შორის: მანუე, შხამიანი და საშიში ტვირთებისათვის; • უსაფრთხოების ზომების ცოდნა, თანახმად საშიში ტვირთების გადაზიდვის საერთაშორისო კოდექსისა – IMDG Code; • ზღვაში და ატმოსფეროში მიმდინარე ფიზიკური პროცესები, გემზე გამოყენებული
-----------------------	---	--

		<p>ჰიდრომეტეოროლოგიური ხელსაწყოები, ჰიდრომეტეოპირობების გავლენა ნაოსნობაზე;</p> <ul style="list-style-type: none"> • ინდივიდუალური სამაშველო საშუალებების, სატაკელაჟო და ბუქსირების მოწყობილობების შეცვლისა და პერიოდული შემოწმების ორგანიზების წესები; • გემბანის ძირითადი სამუშაოების ტექნოლოგიები (სადურგლო, სამღებრო, სატაკელაჟო სამუშაოები. კორპუსისა და ლითონის ნაკეთობათა გაწმენდის სამუშაოები); • გემბანის ტექნიკური საშუალებების აგებულება, ექსპლუატაციის წესები და რემონტი; • გემბანისა და სათავსოების შენახვის წესები და ინსტრუქციები; • ნავიგაციური მოწყობილობების დანიშნულება, კლასიფიკაცია, გამოყენება; • ზღვაზე კომუნიკაციის განხორციელებისათვის საჭირო სტანდარტული საზღვაო ნავიგაციური სასაუბრო-ლექსიკონი და IMO-ს სტანდარტული ფრაზები თავისი კომპეტენციის ფარგლებში; • გემის სიცოცხლისუნარიანობის უზრუნველყოფის ორგანიზების წესები თავისი კომპეტენციების ფარგლებში; • ზღვაში გადარჩენის ტექნიკა; • გარემოს დაცვისა და ზღვის გარემოს დაბინძურების პრევენციის პრინციპები; • შრომის დაცვისა და უსაფრთხოების მოთხოვნები STCW კონვენციის შესაბამისად.
<p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</p>	<p>შეუძლია, სამუშაოს დაგეგმვისა და შესრულების პროცესში გამოიყენოს სანდო ინფორმაციის წყაროები, შეიმუშაოს სტრატეგია წამოჭრილი სპეციფიკური ამოცანის დასაძლევად და შეაფასოს მიღებული შედეგები შესრულებული სამუშაოს გაუმჯობესების მიზნით.</p>	<p>შეუძლია:</p> <ul style="list-style-type: none"> • საჭიროებისამებრ გამოიყენოს სამუშაო სქემები და საამწყობო ნახაზები; • განახორციელოს გემბანის მოწყობილობებისა და აღჭურვილობების პერიოდული შემოწმება; • გემბანის ტვირთამწე საშუალებების ექსპლუატაცია; • შეადგინოს გემბანის სამუშაოების შესრულების გეგმა და გაანაწილოს მოვალეობები; • უზრუნველყოს გემბანის სამუშაოთა უსაფრთხოება; • განახორციელოს გემის მზადყოფნა ნაოსნობისათვის, თავისი კომპეტენციის ფარგლებში;

		<ul style="list-style-type: none"> • გემბანის ტექნიკური საშუალებების გამოყენება; • მიიღოს, შეინახოს და გასცეს მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობა და უზრუნველყოს მათი აღრიცხვიანობა; • სავალი და სადგომი სანავიგაციო ვახტის გაწევა, შეასრულოს მესაჭის მოვალეობები; • ისარგებლოს შიდა კავშირის საშუალებებით და ავარიული სიგნალიზაციით; • განახორციელოს ნავსადგურის მუშების კონტროლი ჩატვირთვა-გადმოტვირთვის ოპერაციების შესრულების დროს; • გემის გადარჩენის ტექნიკური საშუალებების, ავარიული, ხანძარსაწინააღმდეგო და სამაშველო ინვენტარის გამოყენება; • შეასრულოს აუცილებელი მოქმედებები განგაშის ყველა სახეობის ადექვატურად, გემისა და ეკიპაჟის სიცოცხლის უსაფრთხოების მოთხოვნებიდან გამომდინარე. გამოიყენოს სამაშველო მცურავი საშუალებები ავარიულ სიტუაციებში.
დასკვნის უნარი	<p>შეუძლია სპეციფიკური პრობლემების გადასაწყვეტად შესაბამისი მიდგომის შემუშავება, ალტერნატიული შესაძლებლობების განხილვა და მიღებული შედეგის ანალიზი.</p>	<p>შეუძლია:</p> <ul style="list-style-type: none"> • მოახდინოს თავისი კომპეტენციის ფარგლებში წამოჭრილი პრობლემების იდენტიფიცირება და ანგარიშის მომზადება კაპიტნის უფროსი თანაშემწისათვის; • მოთხოვნის მომზადება გემბანის აღჭურვილობის პერიოდული დათვალიერების შედეგების საფუძველზე;
კომუნიკაციის უნარი	<p>შეუძლია ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია პროფესიასთან დაკავშირებულ საკითხებზე ცვალებად სიტუაციებში, ახალი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების დამოუკიდებლად ათვისება, უცხოურ ენაზე მიღებული პროფესიასთან დაკავშირებული ინფორმაციის დამუშავება.</p>	<p>უნარი აქვს სწორად აღიქვას სამეთაურო შემადგენლობის პირის მიერ მასზე ვახტის გაწევასთან დაკავშირებით გაცემული ბრძანებები; პროფესიული საქმიანობის სრულყოფის მიზნით გამოიყენებს ინფორმაციულ და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს, მათ შორის სპეციალური ინგლისური ენის ცოდნას საერთაშორისო ეკიპაჟთან მუშაობის გასაადვილებლად.</p>
სწავლების უნარი	<p>შეუძლია საკუთარი სწავლის მიმართულებების დამოუკიდებლად განსაზღვრა განჭვრეტად, თუმცა ნაწილობრივ ცვალებად, ვითარებაში.</p>	<p>იღრმავებს თეორიულ ცოდნას და უკავშირებს მას პრაქტიკულ საქმიანობის გაუმჯობესებისა და პროფესიული წინსვლისათვის.</p>

ღირებულებები	პასუხისმგებლობით ეკიდება პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელ ღირებულებებს და ცვალებად სიტუაციებში მოქმედებს მათ შესაბამისად.	მეზღვაურის პროფესიული საქმიანობის თავისებურების განმსაზღვრელია პროფესიის მაღალი რისკ-ფაქტორი. გემი მეზღვაურისათვის წარმოადგენს ერთდროულად სამუშაო და საცხოვრებელ გარემოს. გამომდინარე აქედან ერთიანი გუნდის შეგრომნება, თვითდისციპლინა, კომუნიკაბელობა, პუნქტუალობა, პროფესიული და პირადი პასუხისმგებლობა ის ძირითადი ღირებულებებია, რომლებიც განსაზღვრავენ გემის, ეკიპაჟისა და ტვირთის უსაფრთხოებას.
---------------------	---	---